ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 56
27/10/2017

56-04-4-201710271535

შპს „ქედის კომუნალსერვისის ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის ავტოსადგომისათვის საჭირო-373,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (თხოვების ფორმით), ხუთი წლის ვადით შპს ქედის კომუნალსერვისისთვის გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს (დ. დუმბაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (თხოვების ფორმით), ხუთი წლის ვადით, შპს ქედის კომუნალურსერვისის ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის ავტოსადგომისათვის საჭირო - 373,00 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს ქედის კომუნალსერვისისთვის გადაცემის თაობაზე.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე